საქართველოს მთავრობის

დადგენილება №108

2026 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2023, 010240030.10.003.024359) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი^{1}“ ქვეპუნქტი:

„ი^{1}) უფლებამოსილია, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნების განსახორციელებლად, დააფუძნოს სამეწარმეო იურიდიული პირი ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. სამინისტროს მიერ დაფუძნებულმა სამეწარმეო იურიდიულმა პირმა ან/და არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის გადაწყვეტილებით შეიძლება, განახორციელოს აგრეთვე ისეთი საქმიანობა/ პროექტი, რომელიც აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით სამინისტროს სისტემისთვის განსაზღვრული სხვა მიზნების მისაღწევად;“;

ბ) „ჰ^{18}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{18}) სახელმწიფო პრიორიტეტების გათვალისწინებით, კვალიფიციური კადრების მომზადებისა და შრომის ბაზარზე ინტეგრაციის მიზნით, საქართველოს მოქალაქეობის მქონე ან პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირებისთვის ამტკიცებს საგრანტო/სასტიპენდიო პროგრამებსა და გრანტების/სტიპენდიების გაცემის წესს, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი ქვეყნის მიერ აღიარებულ აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე, ასევე კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებზე განათლების მისაღებად;“;

გ) „ჰ^{18}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^{19}“ – „ჰ^{22}“ ქვეპუნქტები:

„ჰ^{19}) უზრუნველყოფს სამინისტროსა და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რესურსებითა და ინვენტარით აღჭურვას – მინისტრის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს სამინისტროს მიერ დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის მეშვეობით;

ჰ^{20}) ამტკიცებს სკოლაში ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების ზოგად წესს;

ჰ^{21}) ადგენს საჯარო სკოლის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა სასკოლო ფორმის ჭანსაცმლით უზრუნველყოფის ღონისძიებებს, მათ შორის, სასკოლო ფორმის ჭანსაცმლის

ნიმუშს, საფასურს, მისი რეალიზებისა და გადაცემის წესს;

ჰ[22]) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.“.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ე[1]) ნიშნავს და ათავისუფლებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორს;“.

3. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაფუძნებულ სამეწარმეო იურიდიულ პირს.“.

4. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ც[1]“ ქვეპუნქტი:

„ც[1]) საპროტოკოლო ღონისძიებების განხორციელება;“;

ბ) მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-4 პუნქტის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირისა და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;

ს) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირისა და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი;“;

დ) მე-5 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი[1]“ და „ი[2]“ ქვეპუნქტები:

„ი[1]) სახელმწიფო პრიორიტეტების გათვალისწინებით, კვალიფიციური კადრების მომზადებისა და შრომის ბაზარზე ინტეგრაციის მიზნით, საქართველოს მოქალაქეობის მქონე ან პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირებისთვის, სამინისტროს მიერ დამტკიცებული საგრანტო/სასტიპენდიო პროგრამების განხორციელება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი ქვეყნის მიერ აღიარებულ აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე, ასევე კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებზე განათლების მისაღებად;

ი[2]) სამინისტროს მიერ საერთაშორისო შეთანხმებებით, ხელშეკრულებებით, პროგრამებითა და მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, საგანმანათლებლო, გაცვლითი ან/და მოკლევადიანი კვლევითი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 26 აპრილიდან.